საქართველოს მთავრობის

დადგენილება №134

2017 წლის 21 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის №336 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის №336 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21.07.2016, 010220020.10.003.019400) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14 პუნქტი:

„14. კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება გაიმართოს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისა და საქართველოს ნატოში ინტეგრაციის კომისიების ერთობლივი სხდომა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**